დანართი N1

საფუძველი
სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“- ს
დირექტორის 2025 წლის --- დეკემბერი № 02-09/ ბრძანება

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“ აცხადებს სტაჟირებას

1. **სტაჟირება საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახურში :**

- ოპერატორი სტაჟიორი/ - 2 ვაკანტური ადგილი;

სტაჟიორის ძირითადი მოთხოვნები:

- მაღალი მოტივაცია;
- ანალიტიკური აზროვნების უნარი;
- ვერბალური წერილობითი კომუნიკაციის უნარი;
- მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა, მოწესრიგებულობა;
- დეტალებზე ორიენტირებულობა;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი;

კომპიუტერული პროგრამების ცოდნა ჩაითვლება პრიორიტეტად;
უცხო ენის ცოდნა ჩაითვლება პრიორიტეტად;

სტაჟიორს უფლება აქვს:

- ხელმძღვანელის თანხმობით გაეცნოს სამსახურებრივ დოკუმენტაციას, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას;
- ხელმძღვანელის თანხმობით დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს სამსახურის სტრუქტურული ერთეულის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში;
- სამსახურის თანამშრომლებთან ერთად, კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა სამუშაოს შესრულებაში;

სტაჟიორი ვალდებულია:

- გაეცნოს და იხელმძღვანელოს სტრუქტურული ერთეულების დებულებით, სამსახურის შინაგანაწესით და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით;
- გაეცნოს მაუწყებლის სტრუქტურული ერთეულების მუშაობის სპეციფიკას;
- დაიცვას მაუწყებლის შინაგანაწესით დადგენილი ნორმები;
- არ გაავრცელოს საიდუმლო ან/და კონფიდენციალური ინფორმაცია, რას მისთვის ცნობილი გახდა სტაჟირების გავლის პროცესში;
- დადგენილ ვადაში, კომპეტენციის ფარგლებში შეასრულოს ყველა დავალება, რომელიც დაეკისრება ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით;
- სტაჟიორი შესაძლებელია უშუალოდ იქნეს ჩართული სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული პროცედურების განხორციელებში.

დამატებითი მოთხოვნები:

სტაჟიორად შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, ან იგი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებო პროგრამის მეორე, მესამე ან მეოთხე კურსის, ან მეორე საფეხურის საგანმათლებლო პროგრამის სტუდენტია ან/და აქვს პროფესიული უმაღლესი განათლება, სახელობო განათლება, ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტია.

დამატებითი ინფორმაცია:

სტაჟირების მსურველმა დაინტერესებულმა პირებმა, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, განსაზღვრულ ვადაში საკონტაქტო ელ-ფოსტაზე (hr@ajaratv.ge) უნდა წარმოადგინონ:

- განცხადება;
- რეზიუმე (CV);

დაინტერესებულმა პირმა, რომელსაც სურს კონკურსში მონაწილეობის მიღება, გამოსაგზავნ ელ-ფოსტის ((hr@ajaratv.ge) სათაურის ველში (subject) უნდა მიუთითოს იმ სტრუქტურული ერთეულ(ებ)ის და პოზიცი(ებ)ის დასახელება, სადაც სურს სტაჟირების გავლა.

სტაჟირების ხანგრძლივობა: არაუმეტეს 6 თვე;

ანაზღაურების ტიპი: ანაზღაურების გარეშე;

კონკურსის ეტაპები:

- განცხადების გადარჩევა
- გასაუბრება;

გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა: განაცხადებს განიხილავს სპეციალური კომისია, კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით ჯამური შეფასების ქულათა სისტემით. კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში.

განცხადების წარდგენის ვადა: 2025 წლის 9 დეკემბრიდან 16 დეკემბრის ჩათვლით
სამსახურის ადგილმდებარეობა: ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის ქ. N41
საკონტაქტო პირი: ნათია ხუნდაძე მობ: 577 23 26 07
საკონტაქტო ელ-ფოსტა: hr@ajaratv.ge